

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“
დაკავშირებული საკითხის შემსწავლელი
დროებითი საგამომიებო კომისიის
შექმნის თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის („პარლამენტის საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიები“) და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 61-ე („დროებითი საგამომიებო კომისიის საქმიანობის საფუძვლები“) და 62-ე („დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნა“) მუხლების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. ფრაქცია "პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატების" წარდგინებით, შეიქმნას დროებითი საგამომიებო კომისია, რომელიც შეისწავლის შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“ დაკავშირებულ საკითხს.

2. დროებითი საგამომიებო კომისიის გამოსაკვლევ საკითხია შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ საქმიანობა, რის შედეგადაც, დაზარალდა უამრავი ადამიანი. აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ბანკის, სხვა სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და მათ შორის, თანამდებობის პირების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევა. იმის შესწავლა, თუ რამდენად ადეკვატური იყო საქართველოს ეროვნული ბანკის რეაგირება, შეიძლებოდა თუ არა, ამ და სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სათანადო, დროული და ეფექტური რეაგირების შემთხვევაში, ფაქტობრივად დამდგარი ზარალის თავიდან აცილება. იმის დადგენა, თუ რამდენად იკვეთება საქმეში თანამდებობის პირთა და მოხელეთა დანაშაულებრივი გულგრილობა. აგრეთვე, დაზარალებულების ზუსტი რაოდენობისა და მიღწეული ზიანის ოდენობის დადგენა. იმ აქტივებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, საიდანაც შესაძლებელია დაზარალებულთა დაკმაყოფილება.

3. დროებითი საგამომიებო კომისიის უფლებამოსილების ვადად განსაზღვროს 3 თვე.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე